

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში
(01.01.2014 – 31.12.2014)

სარჩევი

1. გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა	2
2. პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრა	26
3. ტექნიკური ინფორმატიკის კათედრა	45
4. თეორიული ინფორმატიკის კათედრა	57
5. სამეცნიერო-კვლევითი კომპიუტერული ლაბორატორია	59

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური ანგარიში

I.1. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის
გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა

I.2. სამეცნიერო ხელმძღვანელი: კათედრის გამგე,
პროფესორი გია სირბილაძე

I.3. კათედრის შემადგენლობა: პროფ. გია სირბილაძე, ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე, ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე, ემერიტუს პროფ. რიჩარდ მეგრელიშვილი, ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, ასისტ. პროფ. გელა ბესიაშვილი, ასისტ. პროფ. ფრიდონ დვალიშვილი, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, დოქტორანტები: მიხეილ კაპანაძე, ოთარ ბადაგაძე, გვანცა წულაია, არჩილ ვარშანიძე, მელქისედექ ჯინჯიხაძე

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	OWA-ს ტიპის ინტუიციონისტური ფაზი-აგრეგირების ოპერატორები გადაწყვეტილების მიღების სისტემებში	პროფ. გია სირბილაძე	პროფ. გია სირბილაძე, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, დოქტორანტები: ოთარ ბადაგაძე, გვანცა წულაია და არჩილ ვარშანიძე.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	2014 წელს გრძელდებოდა კვლევა გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ფაზი-ტექნოლოგიების ინჟინერიის მიმართულებით. თემის ფუნდამენტური კვლევის მიზანია შეიქმნას ან მოდიფიცირება გაუკეთდეს გარკვეულ ცოდნაზე და ცოდნის წარმოდგენებზე დაფუძნებულ ისეთ საექსპერტო ცოდნის ანალიზის ევრისტიკულ მეთოდებს, რომლებიც გამოირჩევიან გადაწყვეტილების მიღების გარკვეული საიმედოობით პრაქტიკაში ფართო სპექტრის ამოცანებისთვის (სამედიცინო		

	დიაგნოსტიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ინფორმაციის მართვა და სხვა). ისინი შეასრულებენ დაზუსტებად გადაწყვეტილებათა მოდელირებას საექსპერტო ცოდნის ნაკადების არსებობის შემთხვევაში, უკვე თემის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებზე. რა თქმა უნდა, არსებობს ცოდნის წარმოდგენისა და გადაწყვეტილების მიღების უამრავი ევრისტიკური მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების ამოცანებში, თუმცა კი ეს მეთოდები მოკლებულნი არიან ფუნდამენტურ კვლევებს მონაცემთა სტრუქტურირებისა და კრიტერიუმში საექსპერტო ცოდნის აგრეგირების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. <i>2014 წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:</i> 1. ამ მიმართულების კვლევებში ჩვენს აქტივობებშია დაზუსტების ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესისა და მენეჯმენტის ამოცანებში: კერძოდ ბოლო წლებში ინტენსიურად ვმუშაობთ საინვესტიციო პროექტების შერჩევაში რისკების მინიმიზების საკითხებზე. გამოყენებულია OWA-ს ტიპის ახალი <i>ინტუიციონისტური ფაზი-აგრეგირების</i> ოპერატორები, მათი გამოყენებით ხერხდება საინვესტიციო და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ახალი ტექნოლოგიების დამუშავება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. 2. შესწავლილია OWA-ს ტიპის ოპერატორის შესაძლებლობითი განზოგადოების AsPOWA-ს ინფორმაციული ზომები: ORNNES, ENTROPY და სხვა. მიღებულია პარეტოს ოპტიმუმის არსებობის საკმარისი პირობა. აღნიშნული ოპერატორის წონების ვექტორის შესაფასებლად შედგენილია და რეალიზებული მათემატიკური დაპროგრამების ამოცანა. 3. კვლევის საბოლოო მიზანი იყო დაზუსტებადი გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი საექსპერტო-ანალიტიკური კომპიუტერული სისტემის ინჟინერია სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანებისთვის. სისტემის შექმნის პროცესში გადაწყდა ისეთი ამოცანები, როგორიცაა: 1) საექსპერტო ცოდნის შესაბამისი მონაცემების წარმოდგენის ეფექტური საშუალებების ძიება, სისტემის მასშტაბირებადობის მოთხოვნის გათვალისწინებით; 2) სისტემის სრული ობიექტუ-ორიენტირებული დიზაინი და რეალიზაცია; 3) კვლევის ფარგლებში განხორციელებული ფუნდამენტური კვლევის შედეგებისა და მეთოდების შესაბამისი ალგორითმების რეალიზაცია. 4) მომხმარებლისთვის სისტემის შესაძლებლობათა გაფართოების საშუალების მიცემა.		
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	სატრანსპორტო მარშრუტიზაციის პრობლემები ექსტრემალურ და ინტუიციონისტურ განუზღვრელ გარემოში	პროფ. გია სირბილაძე	პროფ. გია სირბილაძე, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, <i>მოწვეული მკვლევარები:</i> ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, დოქტორი ანა სიხარულიძე, პროგრამისტი გურამ მგელაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო პრობლემური ხდება სატრანსპორტო საშუალებების (სს) მარშრუტებზე ოპტიმალური გადაადგილების მენეჯმენტი ექსტრემალური და გართულებული პროცესების მიმდინარეობის პირობებში. ესენია: 1. კატასტროფების, მიწისძვრების, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შედეგად და სხვ. დაზიანებულ გეოგრაფიულ ზონებში არსებული სამხედრო, სამედიცინო და სხვა ტიპის ობიექტების ოპტიმალური და უსაფრთხო მომარაგების მენეჯმენტი; 2. ექსტრემალურ და რთულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო დახმარების დაგეგმვა; 3. ექსტრემალურ სიტუაციაში სამხედრო მოქმედებისას სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების გადაზიდვის მარშრუტების სტრატეგიული მენეჯმენტი; 4. მჭიდროდ დასახლებულ გეოგრაფიულ ზონებში (ქალაქები და სხვ.) გზებზე		

გართულებულ სიტუაციებში ტრანსპორტით გადატვირთული გზები, სამოქალაქო მიტინგები და გაფიცვები, გზებზე მეტეოროლოგიური და სხვა მიზეზებით გამოწვეული ცუდი ხილვადობა, მოყინული გზები და სხვ.) სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ოპტიმალური გადაადგილების მენეჯმენტი და სხვა.

ამ პრობლემატიკით დაინტერესებული სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან მაღალი სანდოობის ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც გაითვალისწინებენ ექსტრემალური სიტუაციებში წარმოქმნილ განუზღვრელობებს და მხარდაჭერას გაუკეთებენ სს-ების გადაადგილების ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვას.

ასეთი ტიპის პრობლემატიკაზე მუშაობისას დეტერმინისტული თუ სტოქასტური მოდელების ბაზაზე აგებული სიმულაციური მხარდაჭერი ტექნოლოგიები ხშირად ვერ გვაძლევენ სანდო და დამაკმაყოფილებელ შედეგებს საკვლევი ობიექტის სირთულის, წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი და არასაკმარისი ინფორმაციის ან ობიექტური ინფორმაციის სიმცირის გამო, რაც პირველ რიგში გამოწვეულია მიმდინარე რთული სიტუაციებით. პრობლემატიკის სირთულის ზრდასთან ერთად ჩვენი შესაძლებლობა გავაკეთოთ სანდო დასკვნები საკვლევი ობიექტების მომავალ ქცევაზე, გარკვეულ ზღვრამდე ეშვება, რომლის მიღმაც ინფორმაციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სიზუსტე და განსაზღვრელობა, ურთიერთგამომრიცხავი ხდება. მნიშვნელოვან როლს იძენს პრობლემატიკის გადაწყვეტის სისტემური კვლევა და ანალიზი. აუცილებელი ხდება შეფასებებში და ანალიზში ჩავრთოთ ექსპერტთა ჯგუფები და მათი ცოდნა, რომელთა სუბიექტური მონაცემები მოდელის კონსტრუქციებში წარმოშობს ახალ, სუბიექტურ განუზღვრელობას. მოდელირების კლასიკურ მიმართულებათა პარალელურად მნიშვნელოვანი ხდება სუბიექტური, ფაზი-განუზღვრელობის დამუშავება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექსპერტული ცოდნის ინჟინერიის ფაზი-ინტუიციონისტური მეთოდებისა და ფაზი-ლოგიკის გამოყენება, რაც შესაბამისი მაღალი ღირებულების ავტომატიზირებული სისტემებისა და ინტელექტუალური ხელშეწყობი ტექნოლოგიების კონსტრუირებას უზრუნველყოფს.

საქმე ეხება სატრანსპორტო მარშრუტიზაციის პრობლემატიკას (Vehicle Routing Problem (VRP)). მარშრუტიზაციის ამოცანები სკალარული მიზნის ფუნქციის შემთხვევაშიც ე.წ. NP- რთულ ამოცანებს განეკუთვნებიან და მათი ამოხსნის ზუსტი ალგორითმები რეალური განზომილებების შემთხვევაში არ არსებობს. VRP-ის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულებაა ფაზი-სატრანსპორტო მარშრუტიზაციის პრობლემატიკა (Fuzzy Vehicle Routing Problem (FVRP)). FVRP -ამოცანებმა რთულ და განუზღვრელ სიტუაციებში უნდა უზრუნველყოს ოპტიმალური მარშრუტების გენერაცია.

ამ მიმართულების კვლევის ფარგლებში ვიმყოფებით ამოცანის ჩამოყალიბების ეტაპზე. საბოლოო მიზანია შემუშავდეს ახალი ინტუიციონისტური FVRP მიდგომა. ეს მიდგომა გაითვალისწინებს ზემოთ წარმოდგენილი პრობლემის გადაწყვეტას. აიგება აგრეგირების ახალი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს OWA-ს ტიპის ოპერატორების ფაზი-ინტუიციონისტური განზოგადოებების აგებას. ეს ინსტრუმენტი კი თავის მხრივ უზრუნველყოფს გზებზე გადაადგილების მარშრუტების სანდოობის კრიტერიუმების აგებას. რაც FVRP-მიდგომებსა და კვლევებში საერთოდ ახალ მიმართულებას მოგვცემს. ამ მიდგომის საფუძველზე შეიქმნება პროგრამული პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს ექსტრემალური და რთული მოვლენების შედეგად გზებზე გართულებული გადაადგილების გამო სს-თვის ოპტიმალური და სანდო მარშრუტების დაგეგმვას. პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქცია იქნება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის სახელმწიფო სამსახურებსა, ტვირთების გადაზიდვების კომპანიებსა, სადისტრიბუციო ქსელებსა თუ სხვა კონპანიებს შეუქმნას მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირებისა და მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტებში ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვაში. სისტემაზე მუშაობის პროცესში სისტემის მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ ინფორმაციის მიღების მიზნით ჩართონ დარგის ცნობილი ექსპერტები, რათა მათი ცოდნა გამოყენებული იყოს კონკრეტულ სიტუაციებში პუნქტებს შორის გადაადგილების შესაძლებლობის ფაზი-ინტუიციონისტური ხარისხების შეფასებისა და სს-ებისთვის სანდო მარშრუტების აგების მიზნით. პროექტში წარმოდგენილი პრობლემისთვის აიგება ახალი ტიპის შესაძლებლობითი კრიტერიუმი - მარშრუტებზე გადაადგილების სანდოობის მაქსიმიზაცია. მარშრუტებზე გადაადგილების სიგრძის მინიმიზაციის კრიტერიუმთან ერთად შეიქმნება ორკრიტერიული ამოცანის რეალიზების ორ ფაზიანი სქემა. ეს მიდგომა წარმოშობს ახალ მიმართულებას და პერსპექტივებს FVRP-პრობლემატიკაში. ყოველ მიდგომაში, რომელიც სწავლობს FVRP-ამოცანებს, შეიძლება ჩაიდოს ჩვენი ახალი მეთოდოლოგია და იქ აიგოს ახალი კრიტერიუმები და შეზღუდვები. რაც მათ შემატებს მეტ სანდოობას ექსტრემალურ და განუზღვრელ გარემოში.

№	შესრულებული სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	ახალი მიმართულება კრიპტოგრაფიაში: ტროპიკული კრიპტოგრაფიისა და ორიგინალური სწრაფქმედი მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის სინთეზი და ანალიზი	რიჩარდ მეგრელიშვილი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ემერიტუს პროფესორი	რიჩარდ მეგრელიშვილი, დოქტორანტები: მელქისედეგ ჯინჯიხაძე (აკ. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სოფიო შენგელია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი) და თსუ მათემატიკის დეპარტამენტის ბაკალავრიატის სტუდენტი ზურაბ ვაშაკიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	წინამდებარე კვლევითი სამეცნიერო სამუშაოს თემატიკას და მიზნებს მრავალწლიანი ისტორია გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წელს მიღებული შედეგები ღებულობს, დასრულებულ სახეს. საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე წლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მიღებული შედეგების მაღალი დონის კონფერენციის შრომებსა თუ ჟურნალში გამოქვეყნება (ცხადია, ამ სფეროს სპეციალისტების სათანადო შეფასებების მისაღებად), რასაც დასჭირდა, ფაქტიურად მთელი წელი. პირველი შემოთავაზება ევროპმენტის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ (ჩვენგან დამოუკიდებლად) მივიღეთ პარიზის კონფერენციისგან (უკვე გასული წლის ბოლოს). ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ნიშნავდა სპეციალისტების გარკვეულ დაინტერესებას, მითუმეტეს, რომ კონფერენციის რეცენზენტებმა მცირე დროში მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება სტატიის გამოქვეყნების შესახებ. მე უარი განვაცხადე მხოლოდ რეგისტრაციისთვის 600 ევროს გადახდაზე, რადგან აღნიშნული თანხა შეადგრნდა ორი თვის ჩემ ხელფასს, ხოლო უნივერსიტეტის წესდება ითვალისწინებდა სათანადო პროცედურის შესაძლებლობას მხოლოდ კონფერენციაზე დასწრების შემთხვევაში. ასეთივე ბედი ეწია ევროპმენტის კონფერენციების 2014 წლის შემოთავაზებებს ლონდონში, შვეიცარიასა და პოლონეთში, თუმცა რეცენზენტები აქაც მცირე დროში ღებულობდნენ დადებით გადაწყვეტილებებს კონფერენციაზე დაუსწრებლად სტატიის კონფერენციის შრომებსა და გაფართოებული ვერსიის ISI ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. მხოლოდ იმ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლინების შედეგად გახდა შესაძლებელი ხსენებული სირთულის გადალახვა, რაც გამოიჩინა უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა, როდესაც ბატონ ვლადიმერ პაპავას მივმართე თხოვნით. მას შემდეგ, უახლოესი ევროპმენტის კონფერენცია გაიმართა 2014 წლის 23–25 სექტემბერს სანკტ პეტერბურგში, რომლის შრომებშიც განხორციელდა ზემოაღნიშნული პუბლიკაცია. ევროპმენტის კონფერენციებთან ამ ერთწლიანი ურთიერთობის შედეგი იყო ჩვენი ტროპიკული კრიპტოგრაფიით, ახალი მატრიცული ცალმხრივი ფუნქციითა და გასაღების ღია არხით გაცვლის ალგორითმით სპეციალისტების გარკვეული წრეების დაინტერესება, რაც მანამდე და შემდეგ 2012–13 წლის სხვადასხვა ჟურნალებთან შეხებებით დაფიქსირდა (მცდელობები, პუბლიკაციები ადგილობრივ და უცხოურ კონფერენციებსა და ჟურნალებში). მიღებული შედეგების არსი და მათი ანალიზი გვაფიქრებინებს მეთოდების იმპლიმენტაციას ახალი კრიპტოგრაფიული სისტემების სინთეზისათვის, რადგან თვით შედეგები შეეხება თანამედროვე კრიპტოგრაფიის საფუძველთა საფუძველს. ამიტომ შედეგი სინთეზისა შეიძლება იყოს ქვეყნის დამოუკიდებელი კრიპტოგრაფიისა და დამოუკიდებელი ვებსისტემის აგების შესაძლებლობა. გაცილებით უფრო რთულია ამ სისტემებისთვის ინოვაციური პროდუქტის სინთეზი. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი (თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია: გააჩნია თუ არა ქვეყანას სურვილი, რომ კრიპტოგრაფიულად დამოუკიდებელი იყოს, ანუ პოზიცია, რომელსაც ის დაიკავებს ამჟამად და მომავალში?).		

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	კრიპტოგრაფიულად მედეგი ფსევდომთხვევითი გენერატორის აგება ნეირონული ქსელების საშუალებით	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე კათედრის მაგისტრები სოფო ბუაძე, ჯაბა გედენიძე
დასრულებული კვლევითი ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
	2014 გაგრძელდა მუშაობა კრიპტოგრაფიულად მედეგი ფსევდომთხვევითი გენერატორის ასაგებად ნეირონული ქსელების გამოყენებით. კრიპტოგრაფიულად საიმედო ფსევდომთხვევითი გენერატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად მოთხოვნას. პირველ რიგში მისი გასაღების სიგრძე უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა მოწინააღმდეგ ვერ შეძლოს ძალისმიერი შეტევით იპოვოს ის. აუცილებელია, რომ გამოსასვლელზე მიღებული მიმდევრობა სტატისტიკურად არ განსხვავდებოდეს ნამდვილად შემთხვევითი მიმდევრობისგან და მესამე, შეზღუდული გამოთვლითი საშუალებების მქონე მოწინააღმდეგე ვერ უნდა შეძლოს უკვე გამომუშავებული ბიტების საფუძველზე ალბათობით, რომელიც არსებითად განსხვავდება $1/2$ -გან, გამოიგნოს თუ რა იქნება ამ მიმდევრობის შემდეგი გამოსასვლელი ბიტი. დღეისათვის ყველაზე საიმედოდ ითვლება სირთულის თეორიაზე დაფუძნებული BBC და RSA გენერატორები. RSA გენერატორი დამშიფრავი გამოსამუშავებლად იყენებს დამიფრის ცნობილ ღიაგასაღებთან ალგორითმ RSA-ს, რომლის საიმედოობაც ეფუძნება რიცხვთა თეორიაში ცნობილ პრობლემას – რიცხვის ფაქტორიზაციის ამოცანას. ღშA გენერატორში მიმდევრობის ყოველი ბიტი გამოითვლება შემდეგი სახით: $x_i = f(x_{i-1}) = x_{i-1}^b \pmod{n} \quad (1).$ ასეთი გენერატორის ერთადერთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს მისი სისწრაფე. თუ გვინდა რომ გამომუშავებული მიმდევრობა იყოს საიმედო, მოდულის ფუძე უნდა იყოს ორი ძალიან დიდი მარტივი რიცხვის ნამრავლი (n-ის ზომა ბიტებში არ უნდა იყოს ნაკლები 2048 ბიტზე). ჩვენ გადაწყვეტიტ გამოგვეყენებინა ნეირონული ქსელები ამ პრობლემის გადასაჭრელად. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დავასწავლოთ ნეირონულ ქსელებს RSA გენერატორის მიერ სხვადასხვა საწყისი გასაღებებით გამომუშავებული ფსევდომთხვევითი მიმდევრობები, შევინახოთ ისინი სპეციალურ გარე მოწყობილობაზე და შემდეგ მათი კომბინაციით დავშიფროთ ღია ტექსტი on-line რეჟიმში. ჩვენ ვიყენებთ ნეირონულ ქსელებს, როგორც შავი ყუთი, რომელსაც შეუძლია გადაჭრას კონკრეტული პრობლემები. გარკვეული მონაცემების შეყვანა წარმოშობს სასურველ გამომავალ შედეგს. ამ თვალსაზრისით ნეირონული ქსელები არიან პროგნოზირებადი სისტემები. მაგრამ თუ ნეირონული ქსელის სწავლების პროცესში მეტი fitting-ის პრობლემა მოხდება, ნეირონული ქსელი მოგვცემს არაპროგნოზირებად გამომავალ სიგნალს. ეს მახასიათებელი ხშირად გამოიყენება ნეირონულ ქსელებზე დაფუძნებულ შემთხვევითი რიცხვების გენერატორებში. მრავალშრიანი პერცეპტონი არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეირონული ქსელი, რომელსაც აქვს ეს თვისება. MLP სწავლობს ყველა მონაცემით, რომელიც არის წარმოდგენილი და ასევე შეიძლება განზოგადება იმ მონაცემებზე, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი სწავლების დროს. MLP შეესაბამება სასურველ ზედაპირს, რომელიც წარმოდგენილია შეტანილი მონაცემებით. თუ მეტი fitting-ი მოხდება სწავლების დროს, MLP-ს შემდეგი ცდა მოერგოს სასურველ ზედაპირს იქნება უფრო მაღალი ხარისხის. ასე რომ ჩვენ არ შეგვიძლია პროგნოზირება გამოსასვლელის, როცა ქსელი იღებს ახალ სიგნალს. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ არ ვიცით რა ზედაპირს შეესაბამება MLP. ასეთი შემთხვევითი რიცხვების გენერატორები გვაძლევს საშუალებას შემთხვევითი რიცხვების გენერირებისთვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად matlab-ში აიგო RSA გენერატორი, რომელიც წარმოადგენს RSA		

	ალგორითმის სასწავლო ვარიანტს ამ გენერატორის საშუალებით მიღებული იქნა კრიპტოგრაფიულად საიმედო ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობები, რომლის საფუძველზეც შემდეგში უნდა მოხდეს ნეირონული ქსელის დასწავლა. აიგო სამშრიანი MLP ქსელი და ჩატარდა ცდები, რომელთაგან უმრავლესობამ აჩვენა, რომ ნეირონული ქსელი გვაძლევს იგივე კრიპტომედევრობის მიმდევრობას როგორსაც RSA გენერატორი, ამასთან ამ გენერატორის სწრაფქმედება გაცილებით მეტია RSA გენერატორის სწრაფქმედებაზე. ეს ყველაფერი განხორციელდა სასწავლო RSA გენერატორის და მცირე მოცულობის ნეირონული ქსელისთვის. იმისთვის, რომ ასეთი გენერატორი გამოვიყენოთ პრაქტიკულად სწრაფი ნაკადური შიფრისთვის, საჭიროა აიგოს უფრო დიდი ზომის გენერატორი. რაც წარმოადგენს შემდეგი კვლევის ამოცანას.		
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5	კრიპტოგრაფიულად მედეგი ფსევდოშემთხვევითი გენერატორის აგება ნეირონული ქსელების საშუალებით	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე, კათედრის მაგისტრები სოფო ბუაძე, ჯაბა გედენიძე
დასრულებული კვლევითი ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
	ბლოკური ალგორითმები ძალიან ხშირად არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც არქიტექტურით, ასევე გამოყენებული ოპერაციებით და რაუნდების რაოდენობებით, მაგრამ მათი მუშაობის შედეგი ყოველთვის ერთი და იგივეა, n სიგრძის ბიტური სტრიქონი, რომლის სტრუქტურაც განსაზღვრულია ღია ტექსტით, k სიგრძის გასაღების გამოყენებით, რომელიც ასევე წარმოადგენს k სიგრძის ბიტურ სტრიქონს, და გარკვეული ოპერაციების გამოყენებით და მრავალჯერადი იტერაციის შემდეგ გადადის ისევ n სიგრძის ფსევდოშემთხვევით ბიტურ სტრიქონში. ფაქტობრივად, მათემატიკურად ნებისმიერი ბლოკური ალგორითმი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ორ ცვლადზე დამოკიდებული ფუნქცია $E : \{0,1\}^n \times \{0,1\}^k \rightarrow \{0,1\}^n$ სადაც $\{0,1\}^l$ აღნიშნავს l სიგრძის ბიტურ სტრიქონს. k-ს და n-ს მნიშვნელობები კი დამოკიდებულია დაშიფვრის კონკრეტულ ალგორითმზე. პრაქტიკულად, თითოეული ფიქსირებული $K \in \{0,1\}^k$-თვის დაშიფვრის ფუნქცია წარმოადგენს გადანაცვლებას $\{0,1\}^n$-ზე. ჯერ კიდევ კ. შენონმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში აჩვენა, რომ არსებობს ასეთი ტიპის ერთადერთი თეორიულად გაუტეხავი სიმეტრიული შიფრი (ერთჯერადი ბლოკნოტი), რომლის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება: გასაღების სიგრძე აუცილებლად უნდა იყოს ღია ტექსტის სიგრძის ტოლი, გასაღები უნდა წარმოადგენდეს აბსოლუტურად შემთხვევით მიმდევრობას და გასაღები უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ერთხელ (ამიტომ უწოდეს ამ შიფრს ერთჯერადი ბლოკნოტი). ცხადია, რომ ასეთი შიფრის გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში ძალიან მოუხერხებელია, ამიტომ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სიმეტრიული ალგორითმები, რომლებიც მხოლოდ გამოთვლადად მედეგია კრიპტოანალიზური შეტევების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ თუ მოწინააღმდეგეს გააჩნია შემოუსაზღვრავი შესაძლებლობები, მას ყოველთვის შეუძლია გატეხოს ასეთი შიფრები, მაგრამ პრაქტიკაში არ არსებობს შემოუსაზღვრავი შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგე. აქედან გამომდინარე ალგორითმის უსაფრთხოების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვიპოვოთ რაოდენობრივი თანაფარდობები მოწინააღმდეგის შესაძლებლობებსა და შიფრის მედეგობას შორის, რაც მოგვცემს საშუალებას რაოდენობრივად შევაფასოთ სიმეტრიული შიფრების უსაფრთხოება კრიპტოანალიზური შეტევების მიმართ. გავარჩიოთ ერთმანეთისგან შეტევის ორი შემთხვევა. თუ კრიპტოანალიტიკოსის მიზანია გამოთვალოს გასაღები, მაშინ ბლოკური შიფრების უსაფრთხოების ანალიზი შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი ამოცანის სახით: მოცემულია დაშიფვრის ფუნქცია $E_k(M) = C$, სადაც $K \in \{0,1\}^k$ არის უცნობი გასაღები. ამ დროს კრიპტოანალიტიკოსისათვის ცნობილია შესასვლელი და გამოსასვლელი მნიშვნელობების რაიმე q		

რაოდენობის წყვილები $(M_1, C_1), \dots, (M_q, C_q)$ და ის ცდილობს გამოთვალოს გასაღები. ამ შემთხვევაში ბლოკური შიფრი იქნება უსაფრთხო, თუ საუკეთესო შეტევა, რომელიც შეუძლია განახორციელოს მოწინააღმდეგემ მოითხოვს ისეთი დიდი რაოდენობის q წყვილებს ან/და გამოთვლის ისეთ დიდ t დროს, რაც აღემატება კრიპტოანალიტიკოსის შესაძლებლობებს. ეს არის უსაფრთხოება გასაღების გამოთვლის მიმართ და რაოდენობრივად იზომება q და t პარამეტრების საშუალებით.

მაგრამ ის ფაქტი, რომ ბლოკური შიფრი უსაფრთხო იქნება გასაღების გამოთვლაზე შეტევებისადმი, სულაც არ ნიშნავს, რომ ის უსაფრთხო იქნება ზოგადად, რადგანაც, როგორც კ. შენონმა იმავე შრომაში აჩვენა, ალგორითმი შეიძლება უშვებდეს რაიმე სახის ინფორმაციის გაჟონვას ღია ტექსტის შესახებ. თუ დაშიფვრის ალგორითმი უშვებს ასეთი ინფორმაციის გაჟონვას, მაშინ კრიპტოანალიტიკოსს უჩნდება შანსი გარკვეული რაოდენობის ინფორმაციის დაგროვების შემდეგ მთლიანად გატეხოს ალგორითმი, ან აღადგინოს ღია ტექსტი გასაღების გარეშე. ამიტომ, თუ გვინდა რომ კრიპტოალგორითმი დიდი ხნის განმავლობაში იყოს უსაფრთხო, უნდა შეგვეძლოს დავამტკიცოთ, რომ იმ გამოთვლითი საშუალებებით, რომლებიც გააჩნია მოწინააღმდეგეს, შეუძლებელია შიფროტექსტიდან რაიმე სახის ინფორმაციის მიღება ღია ტექსტის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაშიფვრის ალგორითმი მაქსიმალურად უნდა მაღავდეს ღია ტექსტის სტრუქტურას შიფროტექსტში.

ღია ტექსტის სტრუქტურის დასამალად ყველაზე ეფექტურია ორი გარდაქმნის - მიმოფანტვის (*confusion*) და დიფუზიის (*diffusion*) გამოყენება. მიმოფანტვა არის გარდაქმნა, რომლის მიზანია დამალოს კავშირი გასაღებსა და შიფროტექსტს შორის, ხოლო დიფუზიის მიზანია გახადოს შიფრიტექსტის თითოეული სიმბოლო დამოკიდებული ღია ტექსტის ყველა სიმბოლოზე. ეს მოგვცემს საშუალებას დავმალოთ ღია ტექსტის სტრუქტურა შიფროტექსტში.

რადგანაც სიმეტრიულ ალგორითმებში არაა რეკომენდირებული რთული მათემატიკური გარდაქმნების გამოყენება (ასეთი ოპერაციების გამოყენება ამცირებს ალგორითმის სწრაფქმედებას), ამ მიზნების მისაღწევად თანამედროვე სიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში ძირითადად გამოიყენება ჩანაცვლების და გადანაცვლების ოპერაციები. იმისათვის, რომ მიაღწიონ დიფუზიის სასურველ დონეს, დასაშიფრ ბლოკზე ერთი და იგივე ოპერაციებს სხვადასხვა გასაღებით იმეორებენ რამდენჯერმე. თითოეულ ასეთ ციკლს უწოდებენ რაუნდს. ცხადია, რომ რაც უფრო მეტია რაუნდების რაოდენობა, მით უფრო დაბალია ალგორითმის სიჩქარე.

1929 წელს ამერიკელმა მათემატიკოსმა ლესტერ ს. ჰილმა წრფივი ალგებრის გამოყენებით შექმნა n -გრამული დაშიფვრის ალგორითმი, რომელიც საშუალებას იძლევა შიფროტექსტის ერთი გამოსასვლელი სიმბოლო დამოკიდებული იყოს n ცალ შესასვლელ სიმბოლოზე. ამ მიზნით მან ღია ტექსტის ასოებს შეუსაბამა რიცხვები ნოლიდან m -მდე (სადაც $m+1$ არის ასოების რაოდენობა ანბანში), ისე, როგორც ამას აკეთებდნენ კლასიკური კრიპტოგრაფიის მრავალ შიფრში. დასაშიფრი ტექსტი გადაიყვანა რიცხვებში და დაყო n სიგრძის ბლოკებად. იმისათვის, რომ დაეშიფრა ეს n ცალი რიცხვი (ანუ ღია ტექსტის n ცალი ასო) ერთდროულად, აიღო კვადრატული მატრიცა $n \times n$ -ზე და გაამრავლა ღია ტექსტის შესაბამისი რიცხვების მიმდევრობა, როგორც ვექტორი, მატრიცაზე (ეს მატრიცა წარმოადგენდა შიფრის გასაღებს) მოდულით ოცდაექვსი. მიიღო კვლავ n სიგრძის ვექტორი, რომელიც წარმოადგენს შიფროტექსტს და რომლის თითოეული სიმბოლო დამოკიდებულია შესასვლელი ვექტორის n სიმბოლოზე. ეს იყო ჰილის ალგორითმის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი განსხვავება მანამდე არსებული დაშიფვრის მეთოდებისგან. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს დეშიფრაცია, ცხადია, დაშიფვრის მატრიცას უნდა გააჩნდეს შებრუნებული მატრიცა მოდულით m . ამისათვის კი საკმარისია, რომ დამშიფრავი მატრიცის დეტერმინანტი განსხვავდებოდეს ნულისგან და ურთიერთმარტივი იყოს მოდულის ფუმესთან.

მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა, რომ შიფროტექსტის ერთი გამოსასვლელი სიმბოლო დამოკიდებული იყოს სამ შესასვლელ სიმბოლოზე, უნდა ავიღოთ მატრიცა

$$A = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} \end{pmatrix}$$

ისეთი, რომ $A \cdot A^{-1} = E$, სადაც E არის ერთეულოვანი მატრიცა და გავამრავლოთ ღია ტექსტის ტრიგრამზე (რიცხვებში გადაყვანის შემდეგ).

$$M \times A = C.$$

დეშიფრაცია კი მოხდება ფორმულით:

$$C \times A^{-1} = M.$$

განვიხილოთ მარტივი მაგალითი. დავუშვათ გვინდა დავშიფროთ სიტყვა „მნა“. გასაღები იყოს სიტყვა „შიფრატორი“. თუ ამ სიტყვებს გადავიყვანოთ რიცხვებში და გასაღებს ჩავწერთ მატრიცის სახით, მივიღებთ:

$$A = \begin{pmatrix} 24 & 8 & 20 \\ 16 & 0 & 18 \\ 13 & 16 & 8 \end{pmatrix} \text{ და } \begin{pmatrix} 27 \\ 12 \\ 0 \end{pmatrix}.$$

შიფროგრამა კი მიიღება გასაღების ღია ტექსტზე გამრავლებით:

$$\begin{pmatrix} 24 & 8 & 20 \\ 16 & 0 & 18 \\ 13 & 16 & 8 \end{pmatrix} \times \begin{pmatrix} 27 \\ 12 \\ 0 \end{pmatrix} \pmod{33} = \begin{pmatrix} 18 \\ 3 \\ 15 \end{pmatrix} \pmod{33}$$

რაც შეესაბამება ტრიგრამს „ტდჟ“.

ამ მატრიცას გააჩნია შებრუნებული მატრიცა რომელიც ტოლია

$$A^{-1} = \begin{pmatrix} 21 & 7 & 6 \\ 31 & 10 & 32 \\ 7 & 14 & 13 \end{pmatrix},$$

ამიტომ, თუ მიღებულ შიფროგრამას გავამრავლებთ ამ მატრიცაზე, მივიღებთ ღია ტექსტს

$$\begin{pmatrix} 21 & 7 & 6 \\ 31 & 10 & 32 \\ 7 & 14 & 13 \end{pmatrix}$$

ცხადია, რაც უფრო დიდი იქნება დამშიფრავი მატრიცის ზომა, მით უფრო მეტი ღია ტექსტის ასო მიიღებს მონაწილეობას გამოსასვლელი შიფროტექსტის ერთი სიმბოლოს გამოთვლაში და მით უფრო კარგად დაიმალება ღია ტექსტის სტრუქტურა შიფროტექსტში, მაგრამ ჰილის ალგორითმის გამოყენება ხელით დაშიფვრის დროს საკმაოდ რთულია, ამიტომ ამ დროს დამშიფრავი მატრიცის ზომაც შესაბამისად პატარაა, რაც ართულებს დასახული მიზნის მიღწევას.

კომპიუტერული კრიპტოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე ჰილის ალგორითმის გამოყენებაზე უარი თქვეს იმ მიზეზით, რომ ვექტორის მატრიცაზე გამრავლება წარმოადგენს წრფივ ოპერაციას და თუ ალგორითმში გამოყენებულია $n \times n$ -ზე მატრიცა, მის გასატეხად საჭიროა მხილოდ n^2 წრფივი განტოლების ამოხსნა, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში გაჩნდა შრომები, რომლებშიც ჰილის ალგორითმის სხვადასხვა მოდიფიკაციები გამოიყენება რომელიმე არაწრფივ ოპერაციასთან ერთად. ეს შეუძლებელს ხდის ალგორითმის მარტივად გატეხვას და ინარჩუნებს ჰილის ალგორითმის ყველა დადებით თვისებას.

ჩვენს მიერ მოდიფიცირებული ჰილის ალგორითმი შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთ შიფრებში, რომლებშიც დასაშიფრი ბლოკი წარმოიდგინება მდგომარეობის მატრიცის სახით (როგორც ეს ხდება მაგალითად **AES** სტანდარტში). განვიხილოთ კრიპტოალგორითმი, რომელშიც ბლოკის ზომა ტოლია 128 ბიტის. ალგორითმში ეს ბლოკი შეგვიძლია წარმოვადგინოთ 4×4 მატრიცის საშუალებით, რომელსაც უწოდებენ მდგომარეობის მატრიცას.

$$M = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} & a_{14} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} & a_{24} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} & a_{34} \\ a_{41} & a_{42} & a_{43} & a_{44} \end{pmatrix}$$

აქ თითოეული a_{ij} წარმოადგენს ორობით ბაიტს. დასაშიფრი ორობითი სტრიქონი ჩაიწერება მატრიცაში მარცხნიდან მარჯვნივ ჰორიზონტალურად და ზევიდან ქვევით. თუ გადავიყვანთ თითოეულ ბაიტს ათობით სისტემაში, ნებისმიერი a_{ij} ელემენტისთვის შესრულდება პირობა $0 \leq a_{ij} \leq 255$. ჩვენს მიერ მოდიფიცირებული ალგორითმში ხდება ამ მარტიცის გამრავლება 4×4 -ზე განზომილების A მატრიცაზე მოდულით 256.

$$M \times A(\text{mod } 256),$$

თავისთავად ცხადია, რომ მატრიცის მატრიცაზე გამრავლება აღარ წარმოადგენს ისეთ მარტივ ოპერაციას, როგორიცაა გადანაცვლება ან ჩანაცვლება, რამაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს ალგორითმის სისწრაფეზე. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ალგორითმის სწრაფქმედება დასაშვებ ფარგლებში, A მატრიცის ელემენტები უნდა იყოს რაც შეიძლება პატარა რიცხვები. ასეთ შემთხვევაში კი შესაძლებელია, რომ A^{-1} მატრიცის ელემენტები იყოს დიდი რიცხვები, რაც გაზრდის დეშიფრაციის დროს, რაც ასევე არაა სასურველი. ამ მიზეზების გათვალისწინებით ჩვენ შევარჩიეთ თვითშებრუნებადი მატრიცა

$$A = \begin{pmatrix} 2 & -1 & -2 & 2 \\ -1 & -2 & -2 & -2 \\ 1 & 1 & 1 & 2 \\ -1 & 1 & 2 & -1 \end{pmatrix},$$

რომლის ელემენტებია მხოლოდ ± 1 და ± 2 რიცხვები, რაც ძალიან ამარტივებს მატრიცის მატრიცაზე გამრავლების ოპერაციას (გავიხსენოთ, რომ ორობით სისტემაში ორზე გამრავლება ტოლფასია ათობით სისტემაში ათზე გამრავლების). ის ფაქტი, რომ ასეთ მატრიცაზე გამრავლების შედეგად მდგომარეობათა მატრიცაში მივიღებთ უარყოფით რიცხვებს, არ წარმოადგენს პრობლემას, რადგანაც მარტივად, მოდულის დამატებით შესაძლებელია მათი კვლავ დადებით რიცხვებში გადაყვანა.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. დავუშვათ მოცემული გვაქვს ღია ტექსტი: “domain parameters”. ASCII კოდების გამოყენებით შევუსაბამოთ ასოებს რიცხვებში ათობით სისტემაში და შემდეგ გადავიყვანოთ ბიტურ სტრიქონში. ათობით სისტემაში მივიღებთ მატრიცას 4×4 -ზე:

$$M = \begin{pmatrix} 100 & 111 & 109 & 97 \\ 105 & 110 & 112 & 97 \\ 114 & 97 & 109 & 101 \\ 116 & 101 & 114 & 115 \end{pmatrix},$$

რაც მოგვცემს ბიტურ სტრიქონს:

01100100 01101111 01101101 01100001 01101001 01101110 01110000 01100001 01110010
01100001 01101101 01100101 01110100 01100101 01110010 01110011.

გავამრავლოთ მიღებული M მატრიცა A მატრიცაზე მოდულით 256. გვექნება:

$$\begin{pmatrix} 100 & 111 & 109 & 97 \\ 105 & 110 & 112 & 97 \\ 114 & 97 & 109 & 101 \\ 116 & 101 & 114 & 115 \end{pmatrix} \times \begin{pmatrix} 2 & -1 & -2 & 2 \\ -1 & -2 & -2 & -2 \\ 1 & 1 & 1 & 2 \\ -1 & 1 & 2 & -1 \end{pmatrix} \text{mod } 256 = \begin{pmatrix} 101 & 140 & 137 & 99 \\ 115 & 140 & 132 & 117 \\ 139 & 158 & 44 & 151 \\ 130 & 157 & 166 & 143 \end{pmatrix} \text{mod } 256,$$

რაც მოგვცემს ბიტურ სტრიქონს:

01100101 10001100 10001001 01100011 01110011 10001100 10000100 01110101 10001011
10011110 00101100 10010111 10000010 10011101 10100110 10001111.

თუ შევადარებთ ერთმანეთს საწყის და მიღებულ ბიტურ სტრიქონებს დავინახავთ, რომ 128 ბიტიდან განასხვავება გვხვდება 67 ბიტში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ალგორითმის გამოყენება ეფექტურია იმისათვის, რომ ძალიან სწრაფად იქნას მიღწეული საჭირო დონის

	დიფუზია. ცხადია, რომ მატრიცის მატრიცაზე გამრავლების დროს, გამოსასვლელი მატრიცის თითოეული ელემენტის გამოთვლაში არ მონაწილეობს შესასვლელი მამატრიცის ყველა ელემენტი. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება, თუ ჩვენ M მატრიცის სტრიქონებს გადავსვავთ შემდეგ კვლავ გაავამრავლებთ A მატრიცაზე მოდულით 256. თუ ყოველი გამრავლების წინ ღია ტექსტის შესაბამის ბიტურ სტრიქონს ოპერაცია xor-ით შევკრებავთ გასაღებთან, შედეგი უფრო სწრაფად მიიღწევა, რადგანაც ღია ტექსტის გასაღებთან შეკრების დროს ხდება ე.წ. ტექსტის „გათეთრება“, ანუ ღია ტექსტის სტრუქტურის გარდაქმნა. ეხლა მიმდინარეობს კვლევა იმის დასადგენად, თუ რა დონის ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობა მიიღება ასეთი გარდაქმნების შედეგად. საჭიროა მიღებული ბიტური სტრიქონების ტესტირება ყველა იმ სტატისტიკური ტესტების საშუალებით, რომლებიც გათვალისწინებულია NIST-ის სტანდარტებით.		
6	რთული სისტემების ქცევის მოდელირება და მართვა	ასოც. პროფესორი ტარიელ ხვედელიძე	ასოც. პროფესორი ტარიელ ხვედელიძე, კათედრის მაგისტრანტები
	2014 წელს კვლევები გაგრძელდა რთული სისტემების ქცევის მოდელის აგებისა და შესწავლის მიმართულებით. ასეთი სისტემების მოდელის ასაგებად გამოიყენება სპეციალური კლასის როგორც დეტერმინირებული, ასევე სტოქასტური (ალბათური) სტრუქტურის სასრული ავტომატები. კვლევის მიზანს წარმოადგენს ტერნარულ შემთხვევით გარემოში ისეთი ავტომატების ქცევის ალგორითმების აგება და შესწავლა, რომლებიც უმარტივეს სიტუაციებში ფლობენ მაქსიმალურად მიზანშეწონილ ქცევას, ხოლო გარემო ავტომატების მოქმედებებზე რეაგირებს საპასუხო რეაქციებით, რომლებიც ავტომატის მიერ აღიქმება როგორც ერთ-ერთი სახის რეაქცია შემდეგი სამი კლასიდან: სასურველი რეაქციების კლასი, არასასურველი რეაქციების კლასი და ნეიტრალური რეაქციების კლასი. ასეთი ავტომატები გარემოსაგან მიღებული სიგნალების ანალიზის საფუძველზე რეაგირებას უკეთებენ დასწავლის რაღაც ალგორითმს, რომლის შედეგსაც წარმოადგენს რაიმე კრიტერიუმის მიხედვით ოპტიმალური მართვის არჩევა. მაგრამ კვლევებმა, რომლებიც დაკავშირებულია ავტომატების ქცევის შესწავლაზე როგორც ბინარულ, ასევე არაბინარულ შემთხვევით გარემოში, აჩვენა, რომ ისეთი ავტომატის აგება, რომელიც რაიმე კრიტერიუმის მიხედვით საუკეთესოა ნებისმიერ გარემოში, არარეალურია. ამიტომ, სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტისათვის მათ გამოსაყენებლად, აუცილებელია ფართო კლასის როგორც სასრული, ასევე უსასრულო (მდგომარეობათა თვლადი რიცხვით) ავტომატების კონსტრუქციების (ქცევის ალგორითმების) აგება და ანალიზური და რიცხვითი მეთოდების შემუშავება მათი ქცევის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლების გამოსათვლელად. კვლევის შედეგად მიღებული შედეგები: 1. აგებულია ტერნარულ (მოგება, წაგება, ინდიფერენტულობა) სტაციონარულ შემთხვევით გარემოში უსასრულო (მდგომარეობათა თვლადი რიცხვით) სტოქასტური ავტომატის კონსტრუქცია (ქცევის ალგორითმი); 2. მაწარმოებელი ფუნქციის საშუალებით მიღებულია სხვაობიანი სასაზღვრო ამოცანა აღნიშნული უსასრულო სტოქასტური ავტომატის ქცევის სტატისტიკური მახასიათებლების გამოსათვლელად; 3. გადაწყვეტილია აღნიშნული სხვაობიანი სასაზღვრო ამოცანის შესაბამისი მახასიათებელი განტოლების ფესვების ლოკალიზაციის ამოცანა; 4. ცხადი სახით მიღებულია უსასრულო სტოქასტური ავტომატის ქცევის სტატისტიკური მახასიათებლების გამოსათვლელი ფორმულები და აგებულია რიცხვითი ალგორითმი, რომელიც საშუალებას იძლევა საკმაოდ დიდი სიზუსტით გამოითვალოს ავტომატის ქცევის სტატისტიკური მახასიათებლები ავტომატის ნებისმიერი მდგომარეობიდან სტარტის შემთხვევაში.		

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
7	საწარმოების რეალური ტექნოლოგიური პროცესების მართვის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემების აგება-კირის ღუმელის ოპერატიული მართვისათვის გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის აგება და დანერგვა საწარმოში	ასისტ.პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი	ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, კათედრის მაგისტრანტები
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	არამკაფიო ლოგიკისა და არამკაფიო მათემატიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული ცოდნის ინჟინერიის მიდგომების საფუძველზე შესაძლებელია დამუშავდეს საწარმოების რეალური, რთული ტექნოლოგიური პროცესების მართვის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემები. წინა წლებში შექმნილი თეორიული მოდელების საფუძველზე მიმართულების მაგისტრანტებთან ერთად დასრულდა მუშაობა რეალური, კონკრეტული ამოცანისათვის: ინფორმაციული სისტემის – კირის ღუმელის ოპერატიული მართვისათვის გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის ასაგებად და დასანერგად საწარმოში. შედეგად შეიქმნა დასრულებული პროგრამული პროდუქტი, რომელიც საინტერესო იქნება რეალურად მომუშავე დიდი და საშუალო საწარმოების მენეჯმენტისათვის. ასეთი სისტემების მნიშვნელობა ცხადია; ისინი საწარმოს საშუალებას აძლევენ ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობა და მართვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ, ერთგვაროვანი გახადონ, რაც საწარმოს წარმატებული საქმიანობის მყარ გარანტიას წარმოადგენს. შესაძლებელია ასეთი ინფორმაციული სისტემის გამოყენება ტექნოლოგიური პროცესის მმართველი ოპერატორების სწავლებითვისაც. დასრულდა საინფორმაციო სისტემის მუშაობის შემოწმება რეალურ მონაცემებზე უშუალოდ საწარმოში. ამ შემოწმებამ აჩვენა, რომ სისტემა მუშაობს გამართულად. ასევე დასრულდა საწარმოში სისტემის დანერგვის სამუშაოებიც. ამ საკითხებზე მომზადდა და გაიგზავნა დასაბეჭდათ სამეცნიერო სტატია: Designing a Decision Making Support Information System for the Operational Control of Industrial Technological processes (for the example of the Lime Kiln Control). სტატია იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალში I.J. Information Technology and Computer Science. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი რეალური ტექნოლოგიური პროცესის მართვის უზრუნველყოფი საინფორმაციო სისტემის ასაგებად.		
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
8	აგენტებზე დაფუძნებული მიდგომა აპლიკანტის ხასიათის გამოცნობისათვის თანამედროვე ინფორმაციული მიდგომების გამოყენებით	ასისტ.პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი	ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, კათედრის მაგისტრანტები
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

თანამედროვე ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ძალიან სწრაფად დრამატულად შეცვალა ცოდნის გავრცელების პროცესი. e-სწავლების სისტემების პოპულარობა დღითიდღე იზრდება და სულ უფრო მეტი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას მათი დროისა და ფინანსური რესურსების დამზოგავ ეფექტურობაზე. ამის მისაღწევად კი საჭიროა თრეინინგის/წვრთნის სცენარის მორგება თითოეულ მოსწავლე-სტაჟიორზე. საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ერთ-ერთი ამოცანაა თრეინინგის პროცესის ინტენსიფიკაცია, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული ინსტრუმენტების (ICTE - ის) სხვადასხვა და წარმატებული ინსტრუმენტების გამოყენებით. დღეისათვის ხდება საკლასო ოთახში ტრადიციული სწავლის პროცესის გადასვლა ონლაინ თრეინინგსა და კონსულტაციაზე. თუმცა ხშირად არ ექცევა ყურადღება იმას, რომ ადამიანებს ინფორმაციის სხვადასხვა აღქმა გააჩნიათ. ეს განსხვავება არა მარტო ვიზუალური ან სმენითია, არამედ უკავშირდება აგრეთვე სასწავლო ნივთების ფერსა და პრეზენტაციის სიჩქარეს. თრეინინგის სისტემამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის - სტაჟიორის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი. აპლიკანტის ტემპერამენტის ტიპის შესაგნობად ტრადიციულად გამოიყენება ტესტირება. ტრადიციული ტესტებიდან - კითხვარებიდან ცალკე არსებობს სხვა ტიპის ტესტები: ხატვის, ფერების, გეომეტრიული ფიგურების, სურათების, კარტის თამაშის, რიცხვების, სცენარის, ხელნაწერის ანალიზის, ხაზვის და სხვა ტესტები. ასეთი სახის ტესტების განსაკუთრებული უპირატესობაა ის, რომ ისინი უფრო ქვეცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ეყრდნობა და ამიტომ უფრო თავისუფალია მანიპულირებისაგან, თანაც მნიშვნელოვნად ნაკლებ დროს მოითხოვენ და განწყობაზეც ნაკლებად არიან დამოკიდებული.

ჩვენი ამოცანა სწორედ იყო რამოდენიმე ასეთი სხვა ტიპის ტესტის კომბინაციით და სუბიექტური ინფორმაციის წარმოდგენისა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეგვექმნა მოკლე, სწრაფი და მანიპულირების შესაძლებლობებიდან თავისუფალი ტესტი-პროგრამა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას დაგვედგინა აპლიკანტის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი ელექტრონული სწავლებისა და სხვა საჭიროებისათვის.

დოქტ. სუზან დელინჯერმა შემოიტანა ტერმინი "ფსიქომეტრიკა" და ახსნა როგორ გამოიყენო გეომეტრიული ფსიქოლოგია ნებისმიერი პიროვნების რწმენის, ღირებულებებისა და მიმართებების შეფასებაში. იგი თვლის, რომ ყოველი ფორმა, რომელსაც გააჩნია სპეციფიური მოხაზულობა: წრე, კვადრეტი, სამკუთხედი, მართკუთხედი და ტალღოვანი, გამოხატავს რაიმე ხასიათს, რომელიც არსებობს ჩვენში, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი დომინანტური და ერთი მეორადი ხასიათი, რომელსაც ვიყენებთ უმეტესად. ჩვენს საინფორმაციო სისტემაში აპლიკანტის ერთი დომინანტური და ერთი მეორადი ხასიათის დასადგენად გარდა ფორმისა, ასევე გამოიყენება ფერი, აქტივობის განსაზღვრის ტესტი და საყვარელი გამონათქვამების ტესტი. როგორც დელინჯერის ნაშრომებიდან ჩანს, გამომავალი ცვლადი უნდა წარმოადგენდეს ერთი ძირითადი ხასიათისა (ტემპერამენტის) და ერთი მეორადი ხასიათის (ტემპერამენტის) სიმრავლეს. რადგან ჩვენს შემთხვევაში შემავალი ცვლადები არამკაფიო ცვლადებია, გამომავალი ცვლადი იქნება სანგვინურ, ფლეგმატურ, ქოლერიკულ, მელანქოლურ, სუპინური - 5 ტემპერამენტთან სიმრავლეზე განსაზღვრული არამკაფიო სიმრავლე, რომლის დეფაზიფიკაციით სისტემა გვამღევს პასუხს: ერთ ძირითად ტემპერამენტს თავისი დასაჯერებლობის დონით და ერთ მეორად ტემპერამენტს თავისი დასაჯერებლობის დონით. საინფორმაციო სისტემის პროგრამული კოდი შესრულებულია დაპროგრამების ენა - Visual C#-ზე (.NET), შესაბამისად ადმინისტრატორად (ედიტორად) გამოყენებულია Microsoft Visual Studio 2010 (10.0 ვერსია). პროგრამა აპლიკანტთან (მომხმარებელთან) ურთიერთობს დიალოგურ რეჟიმში დიალოგური ფანჯრების საშუალებით. დიალოგური ფანჯრები აგებულია Visual Studio-ს ინსტრუმენტის Windows Forms Application-ის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა შევქმნათ ისეთი აპლიკაცია, რომლის ინტერფეისიც Windows-ის ჩვეულებრივ ფანჯრებს წარმოადგენს და მარტივი აღსაქმელია მომხმარებლისთვის. ბოლო ფანჯარა აპლიკანტს აწვდის მისი შესაბამისი პირველადი და მეორადი ტემპერამენტის ტიპების სიტყვიერად გამოხატულ მნიშვნელობებსა და მიკუთვნების ფუნქციის მნიშვნელობებს. აგრეთვე შესაბამისი ტემპერამენტების მოკლე დახასიათებას.

2014 წელის განმავლობაში რამოდენიმე ასეთი ალტერნატიული ტიპის ტესტის კომბინაციით და სუბიექტური ინფორმაციის წარმოდგენისა და დამუშავების თანამედროვე fuzzy ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილია მოკლე, სწრაფი და მანიპულირების შესაძლებლობებიდან თავისუფალი ტესტი-პროგრამა, რომელიც გვამღევს საშუალებას დავადგინოთ აპლიკანტის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი ელექტრონული სწავლების ან სხვა საჭიროებისათვის. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ალგორითმი ორიგინალურია. პროგრამა აპლიკანტთან (მომხმარებელთან) ურთიერთობს დიალოგურ რეჟიმში დიალოგური ფანჯრების საშუალებით. დიალოგური ფანჯრები აგებულია Visual Studio-ს ინსტრუმენტის Windows Forms Application-ის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა შევქმნათ

ისეთი აპლიკაცია, რომლის ინტერფეისიც Windows-ის ჩვეულებრივ ფანჯრებს წარმოადგენს და მარტივი, იოლი აღსაქმელია მომხმარებლისთვის. მოხდა ასევე პროგრამის ტესტირება სხვადასხვა ადამიანებზე, რამაც აჩვენა რომ განსხვავებით არსებული TemPerMod მოდელის მიდგომისაგან მოცემული პროგრამული სისტემა თანაბარი წარმატებით იცნობს ხუთივე ტიპის ტემპერამენტის მქონე აპლიკანტების ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპს. ამ ტიპის პროგრამულ სისტემას დიდი გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული სწავლების ინდივიდუალიზაციაში, რაც საბოლოოდ საშუალებას იძლევა სწავლების დრო შემცირდეს და ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს. მომზადდა სამეცნიერო სტატია, რომლის გაგზავნა მოხდება ჟურნალში International Journal of Social Sciences and Entrepreneurship (IJSSE).			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
9	ოპტიმალური მართვის დისკრეტული და უწყვეტი მოდელები	ასისტ. პროფ. ფრიდონ დვალიშვილი	ასისტ. პროფ. ფ. დვალიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
პროდუქციის წარმოების და ბაზარზე მიწოდების ერთი ეკონომიკური ამოცანისათვის აგებულია ოპტიმალური მართვის დისკრეტული და უწყვეტი მოდელები. შესაბამისი სასაზღვრო ამოცანისათვის ნაპოვნია რიცხვითი ამონახსნი. ნეიტრალური ტიპის სისტემებისათვის მიღებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები არაწრფივი, განაწილებული დაგვიანების შემცველი ოპტიმალური მართვის ამოცანებისათვის ბოლცას ტიპის ფუნქციონალით, შესწავლილია საწყის მონაცემებზე ფუნქციონალის მინიმუმის უწყვეტად დამოკიდებულების საკითხი.			

*** სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების აგების ინტელექტუალური ხელშეწყობი სისტემა“ (MTCU/23/4-102/13), (#5891)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში მიერ „მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მიღებული გრანტი	გია სირბილაძე	პროფ. გია სირბილაძე, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, დოქტორი ანა სიხარულიძე, ასოც. პროფ. რევაზ გრიგოლია, ასისტ. პროფ. ზურაბ მოდებაძე, დოქტორანტი გვანცა წულაია, ინჟინერი გურამ მგელაძე

2	დოქტორანტის გრანტი - გადაწყვეტილების მიღების აგრეგირების ოპერატორები და სქემები ფაზი-განუზღვრელ გარემოში (პროექტის შიფრი: DO/140/4-102/13)	სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გია სირბილაძე - დოქტორანტის ხელმძღვანელი	გია სირბილაძე, ირინა ხუციშვილი (თანახელმძღვანელი), დოქტორანტი გვანცა წულაია
---	---	--	---	---

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

1.1 სატრანსპორტო საშუალებების (სს) მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების დადგენის სკალარული ამოცანების გადაწყვეტის ალგორითმების შექმნა.

მთავარი მიზანია შეიქმნას საექსპერტო ცოდნაზე დაფუძნებული ინტელექტუალური სისტემა, რომელიც პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი პრობლემატიკების ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტის მრჩეველი-დამხმარე ინსტრუმენტი იქნება. სისტემის მათემატიკური მოდელის შემავალი მონაცემები იქნება როგორც ობიექტური მონაცემები, ასევე საექსპერტო შეფასებები. სისტემის გამოსავალი მონაცემები კი უზრუნველყოფს ოპტიმალური გადაწყვეტილებების, ჩვენს შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებების უზნებზე ოპტიმალური გადაადგილების მარშრუტების აგებას. ოპტიმალობა გულისხმობს არა მარტო სატრანსპორტო საშუალებების რესურსების (საწვავი, გადაადგილების დრო და სხვა) მინიმიზაციას, არამედ მარშრუტების საიმედოობის მაქსიმიზაციას, რომელიც საექსპერტო ცოდნის ინჟინერიასა და მიღებული მონაცემების საიმედოობის კრიტერიუმში აგრეგირებას მოითხოვს. საქმე გვაქვს ორკრიტერიუმიან ამოცანასთან: ა). ობიექტური კრიტერიუმი - სატრანსპორტო საშუალებების ჯამური განარბენი (მარშრუტების სიგრძეების ჯამი); ბ). სუბიექტური კრიტერიუმი - სატრანსპორტო საშუალებების მიერ ჩაკეტილი მარშრუტების გავლის საიმედოობა; ამ უკანასკნელი კრიტერიუმის აგების პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს განვიხილავთ დასახული ამოცანების მეორე პუნქტში. ახლა განვიხილოთ გადაწყვეტილი პირველი კრიტერიუმის აგების ორი ამოცანა, რომლების პირველი კრიტერიუმის აგების აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენს: 1). მომხმარებელთა პუნქტების ქსელის ფორმირება და პუნქტებს შორის მანძილების მატრიცა აგება, რომელიც რეალიზებულია Google Directions API სერვისის გარემოში. შექმნილია პროგრამული რეალიზაციები და განხილულია სატესტო ამოცანა საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების კორპუსების მდებარეობის გრაფის (სამომხმარებლო ქსელის) შესაბამისი მანძილების მატრიცის ასაგებად. პროგრამული უზრუნველყოფა სამომხმარებლო ქსელის ობიექტებს შორის მანძილების მატრიცის აგების საშუალებას იძლევა google-ის რუკის მიხედვით. ხოლო ამ მატრიციდან კი ფლოიდ - უორშელის მატრიცის მიღებაცაა შესაძლებელი. 2). პროექტის ამოცანა 1-ის პირობებში დასაშვები მარშრუტების სიმრავლიდან ე.წ. „იმედის მომცემი“ მარშრუტების გენერაციის ეფექტური ალგორითმის შექმნა. ყველა დასაშვები მარშრუტებიდან შეირჩევა ე.წ. იმედის მომცემი მარშრუტები. ალგორითმი დაფუძნებულია შტოებისა და საზღვრების ტიპის ალგორითმზე. შექმნილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი ტესტირება.

შემუშავდა სკალარული ამოცანები აქ ჩამოყალიბებული ამოცანების გადასაწყვეტად. რაც გულისხმობს ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების წრფივ შეწონვას ერთ კრიტერიუმში. შემუშავების პერიოდშია ის ალგორითმი, რომელიც გამოიმუშავებს ოპტიმალურ შეწონვას საექსპერტო ცოდნაზე დაყრდნობით.

1.2. სუბიექტური კრიტერიუმის ინჟინერია. აგრეგირების ოპერატორების ინფორმაციული ზომების ანალიზი.

პირველ საანგარიშო პერიოდში აიგო სუბიექტური კრიტერიუმი - სატრანსპორტო საშუალებების მიერ ჩაკეტილი მარშრუტების გავლის საიმედოობა. ამ კრიტერიუმის ასაგებად აგრეგირების ინსტრუმენტად გამოყენებულია შოკეს ინტეგრალი, რომლის ატრიბუტებია: ა) განუზღვრელობის ზომა - დასაშვებ მარშრუტზე ტრანსპორტის მიერ მეზობელ პუნქტებს შორის დროული გადაადგილების შესაძლებლობითი განაწილება; ბ) უზუსტობის ზომა - დასაშვებ მარშრუტზე ტრანსპორტის მიერ მეზობელ პუნქტებს შორის

გადაადგილებისას მოსალოდნელი დაგვიანების დრო.

